6735/3-2/22 2 22072022

6735/3-2/22
22-07-2022

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს

ბატონ ვახტანგ გომელაურს

ბატონო ვახტანგ,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის ფარგლებში მონიჭებული უფლების თანახმად გთხოვთ მიპასუხოთ შემდგომ კითხვებზე:

პროფესორ-მასწავლებლებს მოეთხოვებათ- სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის და ნასამართლობის შესახებ ცნობის წარდგენა. აღნიშნული ცნობების გაცემა შსს-ს მომსახურების სააგენტოს მიერ გახდა ფასიანი, რაც დაბალი შემოსავლის პირობებში დამატებით ტვირთად დააწვა განათლების სფეროს მუშაკებს. ხარჯების შემცირებისა და მასწავლებელთა ხელშეწყობის მიზნით:

- შესაძლებელია თუ არა ამ ორი ცნობის ერთში გაერთიანება? (გაიცეს ერთი ცნობა სადაც ორივე მათგანზე იქნება ინფორმაცია მოცემული).
- რა ვადა აქვს აღნიშნულ ცნობებს?
- რამდენი ცნობის გაცემა მოხდა გასულ წელს?

პატივისცემით

პარლამენტის წევრი
თეონა აქუბარდია

თბილისი 0118, რუსთაველის გამზირი № 8, საქართველოს პარლამენტის სასახლე
ტელეფონი: (995 32) 2281679. ელ. ფოსტა: contact@parliament.ge

6732/3-2/22 2 22072022

6732/3-2/22
22-07-2022

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს

ბატონ მიხეილ ჩხენკელს

ბატონო მიხეილ,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის ფარგლებში მონიჭებული უფლების თანახმად გთხოვთ მიპასუხოთ შემდგომ კითხვებზე:

პროფესორ-მასწავლებლებს მოეთხოვებათ- სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის და ნასამართლობის შესახებ ცნობის წარდგენა. აღნიშნული ცნობების გაცემა შსს-ს მომსახურების სააგენტოს მიერ გახდა ფასიანი, რაც დაბალი შემოსავლის პირობებში დამატებით ტვირთად დააწვა განათლების სფეროს მუშაკებს. ხარჯების შემცირებისა და მასწავლებელთათვის ხელშეწყობის მიზნით, შესაძლებელია თუ არა ამ ორი ცნობის ერთში გაერთიანება? (გაიცეს ერთი ცნობა სადაც ორივე მათგანზე იქნება ინფორმაცია მოცემული).

ასევე მაინტერესებს, თუ მასწავლებელი ასწავლის რამდენიმე საგანმანთლებლო დაწესებულებაში და ცნობის მოთხოვნის თარიღები განსხვავებულია, აქვს თუ არა ცნობას გარკვეული ვადა იმისთვის, რომ ერთი და იმავე ცნობის წარდგენა მოხდეს წლის მანძილზე ?

აღნიშნულ ინფორმაციას გთხოვთ დაურთოთ მინისტრის ბრძანება აღნიშნულ ცნობებთან დაკავშირებით.

პატივისცემით

პარლამენტის წევრი
თეონა აქუბარდია